განმარტებითი ბარათი

„2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ №2 ცვლილების წერილ-შეთანხმების“ თაობაზე

2017 წლის 19 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის N1293-IIს დადგენილებით).

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის დაახლოებით 50-კილომეტრიანი საავტომობილო გზისა და ასევე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, რომელიც აკავშირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალს. ცენტრალური გზის მეწყერული პროცესების გამო დროებით ჩაკეტვის შემთხვევაში, საპროექტო გზა წარმოადგენს ავტომაგისტრალით მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალებებისთვის ალტერნატიულ შემოვლით გზას.

სესხის ფინანსური პირობები:

- სესხის ოდენობა: 43,804,000 აშშ დოლარი (სესხის თავდაპირველი ოდენობა: 80,000,000 აშშ დოლარი; 27.02.2019 სესხის გაუქმებული ოდენობა: 36,196,000 აშშ დოლარი);
- სესხის ხანგრძლივობა: 24 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 13 წელი);
- საპროცენტო განაკვეთი: 6-თვიან SOFR-ს დამატებული ფიქსირებული მარჟა;
- ვალდებულების გადასახადი (Commitment Charge Rate): წლიური 0.15%.

პროექტის განმახორციელებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეშვეობით.

შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის მონაკვეთი დაყოფილია ორ ლოტად:

- ლოტი 1 (კმ 0+000 – კმ 24+620): ძირულა-მოლითის მონაკვეთი (აღნიშნულ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია);
- ლოტი 2 (კმ 24+620 – კმ 50+244): მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 19 აპრილის №107 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის №715 განკარგულების საფუძველზე, 2022 წლის 27 აპრილს ხელი მოეწერა ზემოაღნიშნული სასესხო შეთანხმების №1 ცვლილების წერილ-შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტის დასრულების თარიღის გაგრძელებას 2024 წლის 31 აგვისტომდე (ნაცვლად 2021 წლის 31 აგვისტოსა) და სესხის ჩამორიცხვის ბოლო ვადის გაგრძელებას 2025 წლის 28 თებერვლამდე (ნაცვლად 2022 წლის 28 თებერვლისა) პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების წარმატებით განსახორციელებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში 2017 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა-მოლითის მონაკვეთის (კმ 0+000 კმ – კმ 24+620, ლოტი 1) რეაბილიტაციის ხელშეკრულება (N SRIP/CW/ICB-01), ღირებულებით 51,467,681.29 ლარი. აღნიშნულ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულებულია. 2018 წლის 4 დეკემბერს კომპანია „AKKORD INDUSTRY CONSTRUCTION INVESTMENT CORPORATION OJSC“-თან (აზერბაიჯანი) გაფორმდა ამავე გზის მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 – კმ 50+244, ლოტი 2) რეაბილიტაციის ხელშეკრულება (NSRIP/CW/ICB-02), ღირებულებით 54,566,117.36 ლარი. 2021 წლის 3 ნოემბერს ხელშეკრულება შეწყდა კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 – კმ 50+244, ლოტი 2) რეაბილიტაციის სამუშაოების თავდაპირველი ვადა შეადგენდა 900 დღეს, ხოლო დარჩენილი სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 730 დღე. მეორე ლოტის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, 2022 წლის 11 მაისს გამოცხადდა ტენდერი მეორე ლოტის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ტენდერი ჩაიშალა დაბალი კონკურენციისა და სატენდერო წინადადების არსებულ ბიუჯეტთან შედარებით არსებითად მაღალი ფასის გამო. სამუშაოების სავარაუდო ღირებულების გადაანგარიშების შემდეგ, 2022 წლის 14 ოქტომბერს ხელმეორედ გამოცხადდა ტენდერი. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 87,455,489.65 ლარს. აღნიშნული ტენდერი კვლავ ჩაიშალა, რადგან პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს და სატენდერო წინადადებების ფასი არსებითად აღემატებოდა არსებულ ბიუჯეტს.

ასევე, მათი ინფორმაციით, საავტომობილო გზის მონაკვეთი არის ცუდ მდგომარეობაში და სატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილება გართულებულია. სატენდერო პროცედურები კი ორჯერ დასრულდა წარუმატებლად, ამავდროულად, მეორე ლოტის ხელშეკრულების ხანგრძლივობა (730 დღე სამუშაოებისთვის და 24 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი) სცდება სესხის დახურვის ვადას, ხოლო მეორე ლოტის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება (87,455,489.65 ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება სესხში დარჩენილი თანხის ოდენობას (დაახლოებით 18.5 მილიონი აშშ დოლარი). ამასთანავე, როგორც ზოგადმა პრაქტიკამ აჩვენა, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურით კონტრაქტორი კომპანიის შერჩევას ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე დონორი ორგანიზაციების შესყიდვის წესებითა და პროცედურებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მეორე ლოტის დარჩენილი სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულიყო სახელმწიფო შესყიდვების პროცედურით, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათზე გასაწევი საზედამხედველო მომსახურება დაფინანსებულიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოგვმართა თხოვნით, სასესხო შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებებისთვის. კერძოდ, სასესხო შეთანხმების დანართი 1-ის მე-2 პუნქტიდან ("პროექტი გულისხმობს ძირულა-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი, დაახლოებით 50 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას, 2 ზოლიან, ყველა ამინდზე გათვლილ, სტანდარტების შესაბამის გზად, მათ შორის, მოკლე დამაკავშირებელი გზებით ბორჯომი-ხარაგაულის ტყე პარკთან, ხარაგაულთან და სხვა სარკინიგზო სადგურებთან") ამოღებულ იქნას მოლითი - ჩუმათელეთის დაახლოებით 25 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია (ლოტი 2) და ასევე გაუქმდეს დარჩენილი სესხის თანხა (დაახლოებით 18.5 მლნ აშშ დოლარი). მათივე ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში სამუშაოების ზედამხედველობისთვის გაფორმებულია საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება. პირველ ლოტზე, დეფექტების შეტყობინების 24-თვიან პერიოდში, გადასახდელი იქნება ზედამხედველის მომსახურების ღირებულება (დაახლოებით 30,000 აშშ დოლარი). ასევე გასათვალისწინებელია, რომ სესხის დახურვის ვადის შემცირების შემთხვევაში აღნიშნული თანხა გადასახდელი იქნება საბიუჯეტო სახსრებით.

ამ ეტაპზე ADB-ის მიერ წარმოდგენილია საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი ცვლილების წერილ-შეთანხმება №2, რომელიც ითვალისწინებს სასესხო შეთანხმების დანართი 1-ის მე-2 პუნქტის წაშლას და მის ნაცვლად შემდეგი წინადადების ჩაწერას: „2.პროექტი გულისხმობს ძირულა-მოლითის (მარელისის რკინიგზის სადგური) დამაკავშირებელი დაახლოებით 25 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას, 2 ზოლიან ყველა ამინდზე გათვლილი სტანდარტების შესაბამის გზად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან და ხარაგაულისა და სხვა რკინიგზის სადგურებთან მოკლე მისასვლელი გზების ჩათვლით." (ძირულა-ჩუმათელეთის დამაკავშირებელი, დაახლოებით 50 კმ-იანი გზის რეაბილიტაციის ნაცვლად განისაზღვრება ძირულა-მოლითის (მარელისის რკინიგზის სადგური) დამაკავშირებელი დაახლოებით 25 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია).

აქვე აღსანიშნავია, რომ ADB-ის 2025 წლის 24 თებერვლის წერილის საფუძველზე, 2017 წლის 19 ივნისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი) ფარგლებში, სესხის დარჩენილი თანხა (18,437,997.21 აშშ დოლარი) გაუქმდა.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 11 მარტის №446 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2025 წლის 11 მარტის №63 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 11 მარტს ხელი მოეწერა „2017 წლის 19 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი)" №2 ცვლილების წერილ-შეთანხმებას."